სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 თებერვალი, 2025 წელი

ბრძანება №01-04/20

ბსუ-ს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამის
,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა
გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში"
პერსონალის მოწვევის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის N01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული** ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (N1 **დანართი**), ბსუ-ს უსგ ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში" აკრედიტაციის თაობაზე **პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილების** (აკრ. N0926, 14.02.2025წ. N2 სხდომის ოქმით), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილების (20/01/2025, N34872 და 10/02/2025. N125091) და **პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის წერილის** (REG02500211555) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" **ჯანდაცვის (სტომატოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის, ფრიდონ ჯაფარიძის** 2025 წლის 26 თებერვლის №210237 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **მოწვეული იქნეს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული უწყვეტი სამედიცინო განათლების (შემდეგში - უსგ) **ტრენინგ-პროგრამის** ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული

გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ (დასწრებული ფორმა; მოდულები **N1 დანართის** შესაბამისად; ტრენინგის ხანგრძლივობა - **2 დღე**, დღეში 6-6 სატრენინგო საათი) **განმახორციელებელი პერსონალი:**

ა) პროგრამის ხელმძღვანელი და ტრენერი - ფრიდონ ჯაფარიძე - პროგრამის ტრენერი, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ- პროფესორი, ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ კლინიკურ მოდულებზე პასუხისმგებელი პირი;

ბ) ვახტანგ ბერიძე - პროგრამის ტრენერი, მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი; მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის ექიმი ალერგოლოგ-იმუნოლოგი, პედიატრი, ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, სარეზიდენტო პროგრამის „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“ ხელმძღვანელი;

გ) გიორგი ნიკოლაიშვილი - პროგრამის ტრენერი, მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; შპს „ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ მედიცინის სკოლის დეკანი, პროფესორი. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის ექიმი-კარდიოლოგი, გადაუდებელი მედიცინის ექიმი;

დ) მეგი ხაბაზი - პროგრამის ტრენერი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი; და შპს „ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი“ მოწვეული ლექტორი; მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის ექიმი ალერგოლოგ-იმუნოლოგი.

2. უსგ ტრენინგ-პროგრამაზე ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ **მიღება გამოცხადდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** (მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - **10-20 მსმენელი), პროგრამაზე** სწავლის საფასურის, პროგრამის პერსონალის შრომის ანაზღაურების და პირველადი ხარჯთაღრიცხვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრის შემდეგ, <u>პროგრამის ხელმძღვანელის/ჯანდაცვის</u> (სტომატოლოგიის) <u>მიმართულების კოორდინატორის ორგანიზებით</u> (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან კოორდინაციით).
3. უსგ **ტრენინგ-პროგრამა** ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ (დასწრებული ფორმა, **სულ 2 დღე**, დღეში 6-6 სატრენინგო საათი) განხორციელდეს პროგრამაზე მსმენელთა <u>ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ჩარიცხვის შემდეგ.</u>
4. <u>პროგრამის ხელმძღვანელმა/ჯანდაცვის</u> (სტომატოლოგიის) <u>მიმართულების კოორდინატორმა ორგანიზება გაუწიოს (ასისტენტის (ების) საშუალებით)</u>:
   ა) ტრენინგის მონაწილეთა ბაზის წარმოება (მონაწილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტრენინგ-მოდულის გავლის შედეგის მითითებით);
   ბ) ტრენინგის გავლის დამადასტურებელი გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვა;
   გ) ყოველი თვის ბოლო კვირას მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ თვეში დაგეგმილი პროგრამ(ებ)ის თაობაზე, პროგრამის ჩატარების თარიღისა და ადგილის მითითებით <u>(გამონაკლის შემთხვევაში</u> აღნიშნული ინფორმაცია საბჭოს

სამდივნოს შესაძლებელია, წარედგინოს კონკრეტული პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე (გამონაკლისია პროფესიული კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები და სხვ., რომელთა თაობაზეც საბჭოს სამდივნოს ინფორმაციის წინასწარ მიწოდება არ ესაჭიროება);

დ) პროფესიული განვითარების საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია (მ.შ. ელექტრონულად) აქტივობებში მონაწილე პირებისა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საექიმო სპეციალობის დასახელება) და პედაგოგების (ტრენერების) (სახელი, გვარი, საათობრივი დატვირთვა) შესახებ პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე, ასევე, პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (აღნიშნული, ასევე, ვრცელდება პროფესიულ კონფერენციებზე, კონგრესებზე, ფორუმებზე და სხვ.). აღნიშნული ინფორმაციის საბჭოს სამდივნოში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაისვას საკითხი აქტივობისათვის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ."

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცენტრის უწყვეტის განათლების მიმართულებით, ჯანდაცვის (სტომატოლოგიის) მიმართულების (უზრუნველყოს ამ ბრძანებაში აღნიშნული ტრენერებისათვის დაგზავნა/ინფორმირება) კოორდინატორს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

ბსუ-ს უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“
პერსონალის მოწვევის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 26 თებერვლის N 01-04/20 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის <u>უწყვეტი სამედიცინო განათლების</u> მოკლევადიანი პროგრამის ,,ადგილობრივი ანესთეზიით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობისა და სხვა გართულებების მართვა სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“

განმახორციელებელი პერსონალი (ტრენერები)

პერსონალის სახელი, გვარი	*პოზიცია*	*სამუშაო დატვირთვა/ფუნქციები*	*შესასრულებელი სამუშაო/სატრენინგო* ***საათები***
ფრიდონ ჯაფარიძე	*პროგრამის ხელმძღვანელი და ტრენერი*	**ტრენინგის თემა -** დენტალური ტკივილის პათოფიზიოლოგიური მექნიზმები; ადგილობრივი საანესთეზიო პრეპარატების ფარმაკოკინეტიკა; ადგილობრივ ანესთეზიაში გამოყენებული წამლის შემყვანი მოწყობილობების მახასიათებლები და გამოყენების წესები; საანესთეზიო პრეპარატების შემადგენლობა, ჯგუფები და მათი კლინიკო-ფარმაკოლოგიური თავისებურებები **პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები**	*სატრენინგო - სატრენინგო - 4 სთ, და 30 წთ.* *ასევე პროგრამის ხელმძღვანელობა (*სასწავლო პროცესის დაგეგმა-ორგანიზება, მათ შორის ,,პრე და პოსტ“ ტესტირების ჩატარება და სხვა აქტივობების შესრულება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული** ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები“ და ბსუ-ს რექტორის ბრძანება)

ვახტანგ ბერიძე მეგი ხაბაზი	*ტრენერი*	ტრენინგის თემა - ალერგია სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, გამომწვევი მიზეზები; ალერგიის დიაგნოსტიკა; დიაგნოსტიკური სინჯები (ტესტები),სახეები. სადიაგნოსტიკო ღირებულებები სინჯების ცდომილება, გამომწვევი მიზეზები;	*სატრენინგო - 3 საათი*
გიორგი ნიკოლაიშვილი	*ტრენერი*	ტრენინგის თემა - ადგილობრივი ანესთეზიის ზოგადი გართულებები: ჰემოდინამიკური და ფილტვის ფუნქციის მაჩვენებლების მონიტორინგი. ანაფილაქსიური შოკი - სიმპტომატიკა, გამომწვევი მიზეზები, განვითარების მექნიზმები და მისი მართვა; სასუნთქი გზების მექანიკური ობსტრუქცია - სიმპტომატიკა, გამომწვევი მიზეზები, განვითარების მექნიზმები და მისი მართვა; გულ-ფილტვის რეანიმაცია - დემონსტრირება მულაჟზე გულის არაპირდაპირი მასაჟი, ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, დეფიბრილაცია, თითოეული მსმენელების მიერ გულ-ფილტვის რეანიმაციული ღონისძიების შესრულება	*სატრენინგო - 4 სთ, და 30 წთ*